


პეზიონებიდან საბავშვო  
სახელოვანი შეიქმნა!



ნან. ვ. ფირცხალავასი

### მამის კასუნი

— მივდივართ, რომ ერთსულოვნად ხმა თქვენ მოგცეთ, პატივცემულო გოგონა, — თქვენი შვილი ხომ  
თქვენ აღზარდეთ ხალხის მსახურად...  
— ვერ დავფარავ სიხარულს, მეც ასე ვგრძნობ: შვილას არჩევა მამის ამავს დაუახებია!..

ნ ი ა ნ ბ ი



ნახ. ღონისა



**ბრივანული მწახარება**

სხვების შეჭმას აპირებდა, მაგრამ ბედმა დაამშია — დღეს ნაომარ-ნაღომარი ამერიკულ ხაფანგშია.

ნახ. გ. ლომიძისა



ზის ბონედი ყაღატაბანდი მუხბმოყრიდი ღიაცურად...

სურათი კი შებრუნებით წარმოადგენს სულ სხვა სურათს.



**ჩასიონალაი მკაჩნალოა**

**ანკარა**, 15 თებერვალი. (უჩინმაჩინის დეპეშათა სააგენტო). მოზრდილი ქვეყანა ანატოლია, აქ ოც მილიონ მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე მზრუნველობაც იმდენად დიდია, რომ როგორც თურქეთის ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრი უსტიუნდაგი აცხადებს, ექიმთა პერსონალისა და საწოლების სიმცირის გამო, შემოღებულია რაციონალური მკურნალობა. თითო საწოლზე მოთავსებულია ორი ავადმყოფი. სიცხეს მხოლოდ ერთს უსინჯავენ და, ამგვარად, ორი ავადმყოფისათვის გამოყავთ ერთი საშუალო. სამაგიეროდ ნენსი უკეთდება მეორე ავადმყოფს და ნეშის ნახევარი ეთვლება პირველს. ერთმანეთს შეჩვეული ავადმყოფები სიმარტოვეს მხოლოდ მაშინ განიცდიან, როცა ცალ-ცალკე გაასვენებენ.

**ჰინ სჯუმაი და ჰინ მასპინძელი**


**ათენი**, 13 თებერვალი. (უჩინმაჩინის). საბერძნეთის მთავრობის მესვეურებმა რამდენიმეჯერ სცადეს გაეგოთ საბერძნეთში მყოფ ამერიკის მისიის წევრთა რაოდენობა, მაგრამ სტუმრები ყოველთვის არცხვენდნენ — „ქუნწ მასპინძელს მეტი ხარჯი აქვსო“. ამერიკის მისიის წევრთა რაოდენობა ამას წინათ შემთხვევით გამოარკვია ტელეფონის აბონენტთა წიგნმა. როგორც გაზეთი „ელეფთერია“ იუწყება, ხსენებული მისიის წევრთა სიამ ტელეფონის წიგნში 92 გვერდი დაიკავა. ახლა უკვე ყველაფერი ნათელია, გარდა ერთისა — ვინ არის სტუმარი და ვინ მასპინძელი.

**დაუმთავრებელი სჯავისჯიკა**

**ნიუ-იორკი**, 12 თებერვალი. (უჩინმაჩინის). ამას წინათ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელიც იტყობინება, რომ ამერიკელების მიერ კორეაში ავანტიურის დაწყების დღიდან ამერიკის არმიის რიგები შეამცირა 49.000 დეზერტირმა.

არ გამოქვეყნებულა და ჯერ კიდევ გაურკვეველია საიქიოში მყოფ რომელ ამერიკელ გენერალს დაევალება ამერიკის იმ ჯარისკაცთა სიის შედგენა, რომლებმაც გარკვეული მიზეზის გამო კორეის ტრონტიდან გაპარვა ვერ მოახერხეს.





— ამხანაგებო, ჩვენს საამქროში კედლებიც კი ჩვენი კანდიდატის მჭევრმეტყველი აგიტატორია: — ამხანაგმა მჭედლიძემ თავისი შრომით დაიმსახურა იყოს ჩვენი დემუტატი საოლქო საბჭოში.

### ს ა მ ხ ა ნ ა გ მ რ ი

— მანქანა?... შე კაცო, მაგაზე დაგზარდები, ჩემო გიორგი! მანქანას კი არა, სულს არ დაგზოგავ შენთვის, მოვა თუ არა გამოგზავნი... ჩემი ცოლია ბაზარში წასული... მოვა თუ არა... აჰ... აჰ... ეგ რა სამადლობელია, შე კაცო... იცოცხლე, იცოცხლე... მოკითხვა თინიკოს, მოკითხვა...

ლიმილში აცურებულმა ვახტანგმა ყურმილი ტელეფონზე გადაარწია და ისევ საქმეს შეუდგა.

წკრრრრ... წკრრრრ... ამეტყველდა ტელეფონი.

— დიახ... დიახ... მე ვარ... უჰ, დემნა ხარ! სადა ხარ, შე კაცო, სად დაიკარგე? საქმე? საქმეს არა უშავს, ჩემო დემნა, ქე მიდის გვარიანად, ახლა რევიზორი მყავს სტუმრად, ციფრების პურმარაღშია ჩაგარდნილი. მანქანა?... მანქანა, ბიჭო, 12 საათამდე არ ეცლებო... მერე კი ვინ დაგიჭერს, შე კაცო, წაიყვა. კარგად იყავ, ჩემო დემნა, კარგად...

— შეიძლება, უფროსო?

— უჰ, მოხვედი, შოთა? რად დაგიგვიანდა?

— ეეე, ქალის ამბავი ხომ იცი, უფროსო, ბაზარში რომ შედის, თოკი უნდა მოაბა და მერე იმით უნდა მოსწიო, თორემ როგორც შოფერს ხალტურიდან, ისე ქალს ბაზრიდან ადვილად ვერ მოგლიჯავ.

— ახლა, ჩემო შოთა, ჩვენ გიორგისთან გაფრინდი, იქიდან დემნასთან მიდი და თუ დრო დაგრჩეს, აქაც შემოირბინე.

შოთამ კარები გამოიკეტა, მდივანს ალმაცერად შეხედა, თითზე გასაღები გადაატრიალ-გადმოატრიალა, ამოიხვნეშა და თვალბში მიაცქერდა.

— რა იყო, შოთა, დაგალა ვახტანგმა?!

— ეეჰ, ხათრიანი დირექტორია, მისმა ნაცნობ-ნათესავებმა ამომადნეს კაცი: ნათლიასთან რომ მივალ — სიძესთან მაგზავნის, სიძე — ქვისლთან, ქვისლი — ბიძაშვილთან, ბიძაშვილი — მამიდაშვილთან, მამიდაშვილი — დეიდაშვილთან, დეიდაშვილი — პაპიდაშვილთან და ბოლოს ისეთ ვისმეს შევრჩები ხოლმე ხელში, რომელსაც ჩვენი დირექტორი ისე იცნობს, როგორც მე მოსკოვის ავტონისპექციის უფროსს.

ვახტანგი საქმეებში გაერთო: ახლად მოტანილი პროდუქტია შეამოწმა, მესამე საამქროს პროდუქციას დიდხანს უყურა, ხსნართაც შეამოწმა, მთავარ ტექნოლოგსაც გამოუძახა, მაგრამ მაინც უქმყოფილო დარჩა, ხელი ჩაიქნია და ქსოვილი გვერდზე დასდო.

— საჭიროა საამქროშივე შემოწმდეს, ჩემო მიხეილ. წავიდეთ, დავაკვირდეთ დამუშავების პროცესს, აუცილებლად დამახინჯებაა, აუცილებლად...

მარინე, თუ ვინმემ დარეკოს, უთხარი ქარხანაში წავიდათქო. მივდივართ კი, მაგრამ მანქანა? მანქანა რომ არ არის, ქალაქის ბოლოს რით გავიდეთ? ვის გავყვით? შოთა დღის ბოლომდე არ დაბრუნდება, რა ვქნათ?! ალექსანდრე რაიონშია, დიმიტრი — მოსკოვში, ვინ გვათხოვებს? ეჰ, არა უშავს, პარკამდე ტრამვაით წავიდეთ, შემდეგი 3 კმ ფეხით გავიაროთ.

სამუშაო საათები მიიწურა. მარინე მაგიდის ალაგებას შეუდგა, როდესაც გაოფლიანებული და დაღლილი ვახტანგი კანტორაში შებარბაცდა.

— ცუდად ვარ, ჩემო მარინე, დავილაღე, ტრამვაიც გაფუჭდა, მანქანაც არაფერი შემხვდა და 12 კმ ფეხით გამოვიარე. მარინე, რევიზორს დამიძახე, თუ ქალი ხარ!

ვახტანგმა კაბინეტი გააღო, ახლად შემოსულ განცხადებებს დახედა და სავარძელში ღრმად მიესვენა.

— რას გვეტყვით, ამხანაგო რევიზორო, ახალს? ხომ არაფერი დაგიშავებია?

— არა, ამხანაგო მატარაძე, ყველაფერი ზუსტი ფინანსიური ხელით არის გაკეთებული, მხოლოდ...

— რაღა მხოლოდ, შე კაცო...

— მანქანის არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო ბენზინის გადახარჯვა გაქვთ. როგორც შემოწმებით გამოირკვა, ამ საქმეში თქვენი ხათრი და ოჯახური ნათესაური კავშირია დამნაშავე, ამიტომ... — შერცხვენილი და გაწითლებული ვახტანგი გაკვირვებით შეჰყურებდა რევიზორს და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— ამიტომ თქვენ მოგიხდებათ დახარჯული ბენზინის ასანახლაურებლად 2000 მანეთის გადახდა.

წკრრრ... წკრრრ... აწკრიალდა ისევ ტელეფონი.

ვახტანგმა ტელეფონს ყურადღება არ მიაქცია, ისევ ისე უყურებდა რევიზორს, მაგრამ განუწყვეტელმა სიგნალმა აიძულა ყურმილი ხელში აეღო.

— რაო, მანქანა? ქინძი და წიწკა დაგაიწყდა ბაზარში?! რამ გადაგრია, ქალო. ქინძი კი არა, პიტნა არ გინდა! დამანებე თავი თუ ქალი ხარ, გამშორდი...

მატარაძემ ყურმილი ტელეფონზე დაჰკრა, რევიზორს შეხედა და ჩაილაპარაკა:

— მართალი ბრძანდებით. ამხანაგო რევიზორო.



# -ილიო მქვიან, ილიუმას მუქახიან!

სინოპტოკოსები გვარწმუნებენ — კეპა-ქუხილი ღრუბლუბნის შეჯახებითი წარმოიშევათ. სხვისი რა მიგახსენოთ, მაგრამ ამ დეზულებას სრულყოფილი არ იზიარებს არკინიგზის თბილისის სამკაფაოო სადღურის უფროსი შოთა გოქაძე. კიდევ მეტი: ამს. გოქაძე ფიქროს, რომ მუნებში არკინიგზის ცირგი წოდებულ საკამინტო კეპა-ქუხილი და ყოველგვარი ატმოსფერული ცვლილება გარკვეულ შენობებს მეტი გავრდასს თქვენს ოთახში, საჭურვო მაგიდაზე, ამ ფუნჯის რაფაზედაც კი.

ამაში პირადიდ დარწმუნდა ამაზავი გოქაძე, დარწმუნდა და სულ მიკრო ხნის წინაშე. სამსახურებრივ მუშაობაშია შესრულების დროს, ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, როცა გარეთ ცხრაოთავლა მზე კაშკაშებდა და გოქაძის კამინტში იდილოური მუღღრობა სუფევდა.

რამ გამოიწვია გოქაძის ასეთი შეხედულება? წარმოიდგინეთ სადღურის ჩვეულებრივი მუშაობა ჩვეულებრივ დღეს:

ირველივე ყველაფერი თავის ადგილზე და თავის რიგზე. ყველაფერი, საათის მტყინიზმო რომ რტყიან, ისე აწყობილი; მგზავრები ფუსფუსებენ, ხოლო შთ გულისმბერი დამრიგებლებელი ეფასება რადიო; ენაასება სამსახურის საქმეზე, აწებლის საჭირო ცნობებს და შათი მოქმედების რეგულირების ახდენს;

მოკლაკე მუჯავრებო... განმარტავს იგი, — ესა და ეს მატარებულა დგას ამა და ამ ბუქანზე, გასასულელი ამა და ამ პარტიდან!

ან კიდევ:

— მატარებელი ნომერი ესა და ეს, მიღებული იქნება ამა და ამ წუთზე, ამა და ამ ღიანდაგზე... მომზადდეთ შეხვედრად...!

ეს და სხვა მრავალი საჭირო მითითება უგმამ ირველოვ. — ეს საქმიანი მუშაობააო, — ფიქრობთ თქვენ და კმაყოფილებით ასრულებთ მოსმნილი მითითებებს.

მაგრამ აი, წარმოიდგინეთ: საქმიანი მუხაიფი შეწყდა, დარბაზში უქნაური ხმა შემოიპოვა და რადიოტექნიკურიდან თქვენ უტყბ „გადაფრთხვევათ“ ასეთი ინტერბურომანული ხასიათის ამონაგვები:

„საყვარლო ნაღიბი მე, შენი ილიუმა ვდგევიარ ამა და ამ დარბაზში, გელი. შეშოსასულელი ამა და ამ კარებიდან“.

თქვენ ვერ მიხვდით, ვაიციენთ, ვაუციდოთ, აღწომოლით, თუ დაიბნენით?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ შოთა გოქაძის კი ნამდვილად მიუგებენა, რომ მის კამინტში მოულოდნელად იქცა, როცა მის მაგიდაზე მსრობდა ასეთი „რადიოგადამცემის“ ტექსტი დაღი ეინმე მოკალაშუმ, დაღი მაგიდაზე დაწერილი მალადლი და თან თვალბების ბრძალიწი იწყებოთ:

— ამას ხედავ...  
— რა არის ეს? — გავიკრებებით შეეეთბა თავის მხრივ გოქაძე.  
— რა მიამიტი ყოფილარ! რა არის და რადიოგადამცემია, სხვა რა უნდა იყოს?

## პარკორეპროკო მოზლი



როცა დირექტორი ვიყავი და ძალია მქონდა, მთელი ნათესაობა თავზე მეტეხა, ყველა ჩემს კაბინეტში იყრიდა თავს, ახლა კი არც ერთი აღარ მეკარება, ეგ არაბი თქვენი ნათესაობა!

— მერე მე რა შუაში ვარ?  
— იმ შუაში ხარ, რომ სადღურის რადიოგამცემი უნდა შეწყვეტილი იქნას სამსახურის გადაცემები და ეს გადასცეს.

— მაინც არ შესწიშნო!  
— ვაიციებო და ვაიციებო, ხანაშალა წაიციობო-მეთქი, — და ილიოლა აბორენებლი მიპოვებენ.

გოქაძემ დამარცხებითი წაიციობა: „მოკლაკე ივანოვი, ხალა ხარ? გეტყბ. ვამოცხადებ ჩემთან მოსაცდელ დარბაზში, ან ბროსეს ქუჩაზე. შენი ილიუმა“. გოქაძემ მზრები იხიეს და ტექსტის ავტორმა ამ პირველამ აშკარა უარი იკრძალა.

— როგორ? მაშ ანდრ ხანს ტყუილად მილაპარაკებო? მაშ ჩემი ლაპარაკი უარის ქმულები ყოფილა? მაშ მე თქვენი დაბატირება არ შემეძლებო?

— მითითებო, ამხანაგო, ვინ ბრძანდებო?  
— ერთი უფროთ ამის სიფათსა! ისიც არა სკოლინია ვინა ვარ! მე მარნულის რაიონის გამომძიებელი აბრამაშვილი ვარ! ილიო მქვიან, ილიუმას მუქახიან!

— მეტე ივანოვსთან არკინიგზის სადღურს რა საქმე აქვს?  
— სადღურს კი არა, მე მაგას საქმე. ანდრ ხალხს როგორ უნდა ვიპოვო? მოდა, თქვენი რადიო რა მიხელეა, თუ ქალსაც ვერ მავინერწმის?

გოქაძემ გადატყუილი უარი უთხრა.  
— ჰა, მეთქი... და ილიუმა აბრამაშვილის მუშტმა გოქაძის მაგიდა აბორენებლი.

მოდა, აი, მეხმეც მავინ იქცა. მართალია, დედაბიშა არ გადაბრუნებულა, მაგრამ კამინტის ქერი იატაკზე განდნა, ხოლო იატაკმა ქერის ადგილი დაიკურა. იტყუილსმებთ აგრეთვე სხვა ინვენტარის აფორიკებმა და გოქაძის ადგილზე გავშეშემა.

შემდეგ კი, როცა კეპა-ქუხილმა გაღაიარა, გოქაძე ნამდვილად დარწმუნდა, რომ ის გალუშილი კაცი, ნამდვილად ილიუმიდ წოდებული ილიო ბრძანებულა, და მას, როგორც „უფლებამოსილს“, რადიოთი პეჟანის პენიშენა გადაუწყვეტია.

ხედავთ გამეფდაობას? ახლაა მუშტის პატრონი კაცს სადღურის უფროსმა, წარმოიდგინეთ, უარი „გაუბრედა“.

აი, რატომ იქცა მუქმა გოქაძის კამინტში! ახლა ჩვენ ვიციოთ ვინ იყო ეს აბორენებული რაინდი? იგი ნამდვილად მარნულის რაიონის ყოფილი გამომძიებელი გახლდათ. ამ თანამდებობაზე აბრამაშვილი დაინიშნა გასულ წლის 19 სექტემბერს, ხოლო იმავე წლის 8 დეკემბერს მოინახა, როგორც უღირსი და ამ საპარტიო თანამდებობისათვის შეუფერებელი.

მაგრამ მოხსნილი აბრამაშვილი თვალსა და ხელს შუა გაუქვია პროკურატურას. ცამ ჰაკლაბა თუ მიწამ — დღესაც არაფერი იცის. მან არც სამოლო ანგარიში გაასწორა, არც საბუთები ჩაბარა და პირდაპირ პაფინიზანდა სადღაც ვაძეპრა, თვალს მიეფარა.

ემტენ და ვერ პოულობენ აბრამაშვილს, რომელსაც ილიო მქვიან და ილიუმას მუქახიან. ეტებენ მას ისევე, როგორც თვითონ რადიოთი ეტებდა აბრამაშვილი ივანოვს.

ამის გამო ნინეგა გადაწყვიტა შეაბრუნოს აბრამაშვილის ტექტი შეშინდარიად: „მოკლაკე აბრამაშვილი! ხალა ხარ? გეტყბენ. ვამოცხადებლი პრაკურატურაში!“



— სომ ხედავ, ხუმრობს თვით დირექტორი, შუი კი ყრფე მიხარ, არ გვიყნება, რას მტრები, ნუთუ არ გვმინია, რომ შემოგბეგვოს, ხომ ეწყინებო? — ეიახეც იცი, მაგრამ ხედავდიან მე ვაიციებოარ სხვა სამსახურში!... (გაულომებდა მღიქუნებმა მღიქუნებს ღრმა მნიშვნელობით ჩასახა ყურში).

უპასუხა



თბილისი ოდიტგახვე განთქმული იყო მედოლე-მედუდუკეთა დასტებით, მედოლე-მედუდუკეებს კი სახელს უხვევდა საიათნოვას და ეთიმ გურჯის სიმღერები. ხალხმა მიიღო იგი, და რაც მათში საუკეთესო იყო დღემდე დარჩა.

მაგრამ ამ კარგ მოვლენას მეორე, არასასიამოვნო მხარეც გამოუჩნდა. მედოლეობა-მედუდუკეობა უბრალო ხელობად, იაფფასიან პროფესიად გადაიქცა და ამ საქმეს ხელს ჰკიდებს ბევრი უვიცი, ვინც კი ფულის შოვნის გუნებაზე დადგება.

იშვიათია ისეთი მკითხველი, რომელსაც არ შეემჩნიოს ამა თუ იმ სასადაილოს კუთხეში მიმჯდარი მედოლე-მედუდუკეთა ზოგიერთი „დასტა“, რომელთა ხრინწიანი სიმღერა და დუდუკების ჭყვიტინი შეგიწუხებთ გულს უგემოვნო, უაზრო სიმღერებით.

აბა, ერთ მათგანს მოვუსმინოთ:  
„სიღნაღის რაიონი, დაბა წნორში მცხოვრები იოსებ ილიას-ძე შავერდაშვილი ვარ სიღნაღის მუზიკისტთა კოლექტივის წევრი, ვარ მედოლე, მღერი შემდეგ სიმღერეფ: „ზამთრის ყინუა“, „პატარა კახი ჯაჭვის პერანგი გახივა“, „წყმსა დედა აღვიძებდა“, „გამოალე ფაჯარა“ და სხვ.“ (ენა, „მართლწერა“ მისივეა).

მაგრამ ამ წერილის თემა მარტო ენის დამახინჯება როდი გახლავთ. უარესი „მუსიკალური“ კუროვნების გამოსავლინებლად შეგვიძლია იმავე რაიონის „მუზიკისტთა კოლექტივის წევრს“ სეროჟა მარქაროვს მოვუსმინოთ: ამ სეროჟას 127 სიმღერა აქვს რეპერტუარში. მათ შორის ასეთი მარგალიტებია: „პაცანა“, „მოკლე კატო“, „პარახოტი“, „ქლექიანი დღე იყო“, „მარტოკ მარტოკ ობოლი“, „კოლხოზ ჩობანი“. („მართლწერა“ აქაც და ქვემოდაც კვლავ „მუზიკისტებს“ ეკუთვნის).

ეს „ნაწარმოებთა“ სათაურები. ახლა თვითონ ზოგიერთი ნაწარმოები მოვისმინოთ: (დოლზე და დუდუკზე ცოტა უკაც-რავად კი ვართ). სეროჟა მარქაროვი „იმღერეფს“ „სოვხოზ ვაჟის თვალებს“:

„მე ქალი ვარ კოლხოზი  
ვაჟი მიყვარს სოვხოზი  
სოვხოზ ვაჟის თვალები  
გოგოვ გენაცვალები  
ხეროჟ ნეტავ რას ამოფ  
მე იმ გოგოს ვერ დავთმოფ  
ამ ქვეყანათ ქებული  
სოვხოზ ბაღის ქებული  
ჯან რიბა-ჯან ცალი არა გყავს...“

იგივე სეროჟა მარქაროვი მღერის:

„ერთი ნახვით შემიყვარდა  
ურთყინანთ კობტა ქალი...“

ეორეკიკ არუთინოვი კი მათხოვრობის გუნებაზე დამდ-  
ვარა:

„შაფათისა გლახა ვარ  
ხელი გამიწოღია  
მოწყალეებას ვთხოულოფ  
სადაც სინა გოგია!  
ჩემი სეფდის ჩანგური  
ახლათ დამიქოქია,  
ახლა ბალთა მონა ვარ  
საცა სინა გოგია!“

სიღნაღელ მომღერლებს არაფრით ჩაყოფარდებიან თბილისელი მედოლე-მეგარკონეები, რომელნიც სეზონის მიხედვით დასეირნობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და „მარგალიტებს“ თესვენ.



აშოთ დავრიშოვი ასე დაკენისი  
დოლს:

„სიცხე მაწუხებს ფილტვები ჰკნდება  
საწოლთან ცალკე მე მიზის დედა“.

მედოლე ოვაკიმიანი მხიარულად  
გაიძახის:

„ტაში კატო  
მოკლე კატო!  
უნადელის  
დელეგატო“.



მომღერალი გრიგორიანი სატრფოს ლალატს დაულონე-  
ბია და ემუქრება:

„მგონი გავიგე რომ შენ ჯვარს იწერ  
ეკლესიაში შემოვარდებო  
ჩემს მოადგილეს აქეთ გამოვწვი  
და შენს გვერდში მე გავჩერდები...“

შემდეგ კი მსმენელებს თავს აბრალებს:

„მუღამ ასრე ვიწვი ძმანო  
სიყვარულის ალითა  
ვეძებდი გზას ვერ პოულოფ  
გავიდე ერთ კვალითა  
სიყვარულმა მე შემიბყრო  
ეშხის საპურობილეშია  
ვით მონა ხატისა  
ვევვარ სიყვარულის ალითა...“

თ. შირინბეგისძე „ფილოსოფიას“ გაუტაცია:

„ღრუბელი მოდის, წვიმას აპიროფს  
შეხედე იმას როგორ ნადირობს  
დაფიქრდი ძმანო და მოდი გონზე  
თითონ სკამზე ზის, შენ დაგსომს პოლზე“.

გაბო გოგირჯანოვი დალუბულ სატრფოს ასე მისტირის:

„სუყველა დაგვთმე ერთათ  
რომ სუყველა მიგვათხოვე  
და წახვედი სამუდამით  
მოვიდნომე სიმარტოვე  
მოვწყდი აღარ ვარ ქვეყანაზედა  
მწარედ მწუხარნო, ცრემლში მყოფდნო  
ვეღარ მიბოვნით ხმელეთ-ცაზედა“.

ს. მეტურიშვილი კი დოლზე გამოცანასაც მღერის:

„ხელის ტყავი, ვით პაღოში  
და ზედ სოკო ამოსული  
მშვენიერო მიყვარხარ,  
მიწყრები რაზე,  
მიწყრები რაზე,  
მიწყრები რაზე.  
ნეტავი რა გაწყენინე,  
ნეტავი რა გაწყენინე,  
ნეტავი რა გაწყენინე...“

და განა მარტო ეს არის? წარღვნასავით მოსდებია სო-  
ფელსა და ქალაქს ასეთი სიმღერები, ასეთი გულისამრევი  
სიმახინჯე და უგემოვნობა.

საკვირველია, მეტად საკვირველი რომ ჩვენს სასადა-  
ლოებში, რესტორანებში, მატარებლე-  
ბში, იქ, სადაც ხალხი თავს იყრის, ასე-  
თი ხალტურის ნიმუშებს ვისმენთ და ვით-  
მენთ. ყველაზე მეტად საკვირველი კი ის  
არის, რომ ამ უცნაურ „რეპერტუარს“  
ამტკიცებს... საქ. სახ. ფილარმონიას-  
თან არსებულ „მუსიკოსთა ბიუროს“  
მიერ გამოყოფილი სპეციალური კომი-  
სია, რომელსაც ვინმე მედოლე ჯაბა  
ბაკურაძე ხელმძღვანელობს და რომელ-  
საც აქამდე ნამდვილი საქმის მცოდნე  
ხელმძღვანელი არ გამოსჩენია.







# ჩვენ ვვწყურნ:




სოფელ განახლების (ღმანისის რაიონი) კოლმეურნეობის ფერმაში (ფერმის გამგე მისაილოვი) ვეტერინარმა გასინჯა ხბო, დიაგნოზით ხბოს კუჭის კატარი აღმოაჩინდა. დაკლული ხბო შემდეგ სად გაქრა, არავინ იცის...

ნან. ა. კანდელაკისა



— მარჯვედ, ყმაწვილებო, ეს მეტად საფრთხილო ოპერაცია გახლავთ!



— არ შეშინდეთ, ყმაწვილებო, პირუტყვის კუჭის კატარი გადამდები სნეულება არ გახლავთ...

## ასე ჩივის სოფლის წყარო

სოფელი ბუღაჩაური უწყლოდ არის დარჩენილი.



წყაროებმა მიმატოვეს, — იცრემლება სოფლის წყარო, — ვითხოვ შეეღას, მაგრამ თხოვნა არვის უნდა შეიწყნაროს.

დავური, აგერ რა ხანია, ღვარმა შთანთქა ჩემი წყალი, გთხოვ, ნიანგო, რომ შენ მაინც შემობრალე მე საწყალი. მერი მელიქიშვილი

სოფელ ჭიმიტის (კაჭრეთის რაიონი) 150 ჰექტარ ფართობს მინდვრის თავი დაეპატრონა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩვენს შეკითხვაზე უპასუხისმგებლოდ გვიპასუხა: „საწინააღმდეგო ღონისძიების ჩატარება ვერ მოვახერხებო“.






— საკვირველია, დილიდან საღამომდე აქა ვდგავარ და ჩემს ხაფანგს კი ერთი თავიც არ ეკარება!..

რედაქტორი ქ ა რ ლ ო ქ ა ლ ა შ ვ. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1953 წ. 18/II. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 397 ვაჟოც. № 3. ტირ. 15.000. უგ 02001.





ალი ოსმანის ჩაბი ქაითინი

ნან. გ. ლომიძისა

რა თვალმაქცი რამ ყოფიდა,  
რა ოინი მოიგონა,—

ჩემი ოქრო სუღ ვააქრო,  
წონაღ ორას ოცი ტონა...